პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს

აბსტრაქტი

პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენტული გარემოს არსებობა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საშუალება თავისუფალი არჩევანი გააკეთოს ქვეყანაში წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ერთპარტიული მმართველობის თავიდან ასაცილებლად. პოლიტიკური პარტიების სიძლიერე და პოპულარობა კი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მათ ფინანსურ შესაძლებლობებზე. დემოკრატიზაციის პერიოდში მყოფი ქვეყნების ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს ხშირად უჭირთ დაფინანსების მოპოვება, განსხვავებით ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალისაგან. ასეთი ვითარება ასუსტებს კონკურენციას პარტიებს შორის, სახელისუფლებო პარტიას მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს და აფერხებს დემოკრატიულ პროცესებს. სწორედ ამიტომ, პარტიათა დაფინანსების საკითხი ზოგადად და კონკრეტულად 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს საქართველოში, საზოგადოებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში კვალიფიციურ პოლიტიკურ გაერთიანებათა რაოდენობამ ოცს მიაღწია, მათგან 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 15 კვალიფიციური პარ-

ტია იღებდა მონაწილეობას, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ 14 კვალიფიციური სუბიექტის სახით.[1] ნაშრომში განხილულია არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიები, რომელთა დაფინანსების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია.[2]

საკვანძო სიტყვები: საქართველო; პოლიტიკური პარტიები; არჩევნები; პარტიათა დაფინანსება.

საერთაშორისო გამოცდილება

პოლიტიკური ფინანსების გარეშე კონკურენტული, მრავალპარტიული დემოკრატიის განვითარება და ფუნქციონირება შეუძლებელია. ისევე როგორც სიტყვის თავი-

---

[1] საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, კვალიფიციურია პარტია, რომელიც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებულ პირდაპირ სახელმწიფო დაფინანსებას იღებს. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხას ის პარტია იღებს, რომელიც არჩევნებში დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობდა და მან ან საარჩევნო ბლოკმა ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხმების 3% ან მეტი მიიღო (სუბიექტი თავად ირჩევს, რომელი არჩევნების შედეგების მიხედვით მიიღოს დაფინანსება) https://bpn.ge/index.php?option=com_content&view=article&id=27336%3Asakhelmtsifo-biujetidan-dafinansebas-20-partia-miighebs&catid=163%3Afinansebi&Itemid=68&fullComments=1

[2] მოგვყავს პარტიათა ჩამონათვალი მათ მიერ არჩევნებში მიღებული ხმების მითითებით („ქართული ოცნება“ – 838154-55.81%; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 256547-17.08%; „ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველო - 156232-10,4%; „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 98530-6.56%; „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“ – 38898-2.59%; „გიორგი ვაშაძე-ერთობა ახალი საქართველო“ – 18426-1.23%) http://results.cec.gov.ge/

სუფლება, პოლიტიკური ფინანსები პირდაპირ კავშირშია ნებისმიერ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებასთან. თუმცა აღსანიშნავია, რომ მრავალ ქვეყანაში კამათის საგანია ფულის წარმომავლობა და მისი განუზომლად დიდი როლი და გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე. მაგ, დიდი კორპორატიული კომპანიების შემოწირულობები აშშ-ში; ნარკოტიკებიდან მიღებული ფული ლათინურ ამერიკაში; კორუფციული სკანდალები ევროპასა და აზიაში... მრავალი ქვეყანა აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს პოლიტიკაში ფულის მიმოქცევასთან დაკავშირებით.[3] ბევრი ქვეყანა აწესებს „სახარჯო ლიმიტს“ პოლიტიკური პარტიებისა თუ კანდიდატებისათვის.[4]

ფინანსები პარტიებისათვის - მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საბიუჯეტო სახსრები მიემართება იმ პოლიტიკური პარტიებისაკენ, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ კრიტერიუმებს. ბოლო არჩევნებში პროპორციული სისტემით მიღებული 5% ან მეტი, ან მიღებული ადგილების რაოდენობა განმსაზღვრავს მათთვის გამოყოფილ თანხებს. ამ სისტემის მომხრეები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიებისაკენ მიმართული თანხები დაიცავს მათ დიდი დონორების ზეგავლენისაგან, რომლებიც სახელმწი-

[3] შეერთებულ შტატებში მცხოვრებ უცხოელებს (გარდა მუდმივად მცხოვრებისა) ეკრძალებთან ნებისმიერი კონტრიბუცია ფედერალურ თუ სახელმწიფო პოლიტიკურ პროცესებში http://pdf.usaid.gov/pdf_docs/pnacr223.pdf

[4] ახალი კანონის მიღებამდე 2001 წელს რუსეთში, რუსეთის პარლამენტში მოსახვედრად კანდიდატს მხოლოდ რამდენიმე ათასი დოლარის დახარჯვა შეეძლო http://pdf.usaid.gov/pdf_docs/pnacr223.pdf

ფო დაფინანსების არარსებობის პირობებში დააფინანსებენ რომელიმე კონკრეტულ პარტიას და სამაგიეროდ მისგან მოითხოვენ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას.

ფინანსები კანდიდატებისათვის - არსებობს ასევე საჯარო ფონდები, რომლებიც აფინანსებენ კანდიდატებს იმავე მოტივით, რითაც პოლიტიკურ პარტიებს: დიდი დონორებისაგან დაცვის მიზნით.

საგადასახადო წახალისება - ბევრი ქვეყანა საგადასახადო შეღავათებით უზრუნველყოფს პოლიტიკურ პარტიათა დონორებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია განვითარებული ქვეყნები, რომლებიც სხვადასხვა გზით, მათ შორის საგადასახადო შეღავათებით ცდილობენ წაახალისონ პოლიტიკური შემოწირულობები. გადასახადის დაქვითვა ან კრედიტები დაშვებულია შემოწირულობებზე, რომლებიც მიმართულია პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატებისაკენ. ამ სისტემის მხარდამჭერები აღნიშნავენ, რომ საგადასახო წახალისება ხელს შეუწყობს შემომწირველებს ღიად დაუჭირონ მხარი საკუთარ კანდიდატსა თუ პოლიტიკურ პარტიას.

უფასო ან შეღავათიანი სამაუწყებლო მედია - მედია, განსაკუთრებით კი ტელევიზია უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია პოლიტიკური სუბიექტებისათვის ეროვნული პოლიტიკური კამპანიის ჩატარებისას და მისი ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს არჩევნების შედეგებს. საარჩევნო კამპანიისას მთლიანი ხარჯების 40-70% სწორედ ბეჭდურ თუ სამაუწყებლო მედიაზე იხარჯე-

ბა. ამ ფაქტის გათვალისწინებით უფასო ან შეღავათიანი პირობებით მედიის გამოყენებამ შესაძლოა გარკვეულწილად შეამციროს ფულის გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე. ქვეყანათა დაახლოებით 80% უზრუნველყოფს გარკვეულ თავისუფალ პოლიტიკურ მაუწყებლობას. [5]

სხვა სუბსიდიები - მრავალ ქვეყანაში სუბსიდიები შემდეგი სახისაა: უფასო ან შემცირებული საფოსტო ტარიფები კანდიდატებისათვის, უფასო ფართი პარტიის ოფისისა თუ საარჩევნო შეხვედრებისათვის, უფასო ვეგ-გვერდები და საგაზეთო რეკლამები. სახელმწიფოები უზრუნველყოფენ იმ ამომრჩეველთა უფასო ტრანსპორტირებას საარჩევნო პუნქტებამდე, რომელთაც გადაადგილების გარკვეული პრობლემები აქვთ (ხანდაზმულები, ავადმყოფები). ასევე მრავალი ქვეყანა ხელს უწყობს საჯარო სარეკლამო კამპანიების წახალისებას ამომრჩეველთა უფრო მეტად გააქტიურების მიზნით (არა რომელიმე კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის მხარდასაჭერად).

პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების წესი საქართველოში

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო აქტით რეგულირდება. ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები გან-

[5] შეერთებული შტატები მედიისაგან ითხოვს უზრუნველყოს დაბალი ტარიფი პოლიტიკურ რეკლამებზე. http://pdf.usaid.gov/pdf_docs/pnacr223.pdf

საზღვრულია ორგანული კანონებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ და „საარჩევნო კოდექსი“, ასევე კანონებით - „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ - და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანებით.

საბიუჯეტო დაფინანსების სახით გამოყოფილი თანხა შედგება საბაზო ნაწილის, პროპორციული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრისთვის გამოყოფილი დანამატისა და არჩევნებზე მიღებული ხმების რაოდენობის კომპონენტისგან.

საბაზო დაფინანსების ოდენობა წელიწადში 300 ათასი ლარია. აღნიშნული თანხა ორმაგდება იმ პარტიისა და ბლოკისათვის, რომელიც არჩევნებში ხმების 6%-ს ან მეტს მიიღებს. პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსების ფორმულის მიხედვით, საბაზო დაფინანსებას ემატება თანხა, რომელიც ითვლება პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატების რაოდენობისა და არჩევნებში მიღებული ხმების ოდენობის მიხედვით. გარდა ამისა, დამატებით 300 ათას ლარს იღებს პარტია, რომლის წევრებიც პარლამენტში ფრაქციის სახით არიან წარმოდგენილნი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარტია იღებს დანამატს საბაზო დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ პარტიული სიის ყოველ მომდევნო ათეულში, ერთიმეორისაგან გან-

სხვავებული სქესი სულ მცირე 30%-ით არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება შემოწირულობებს, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონით ამ ტერმინში მოიაზრება:

- პარტიის ანგარიშზე ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ჩარიცხული ფულადი თანხა.
- პარტიის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისგან უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/შეღავათიანი პირობებით მიღებული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა (მათ შორის შეღავათიანი კრედიტი) და მომსახურება (გარდა მოხალისის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული სამუშაოსი).

შემოწირულობების განხორციელებას კანონი ადგენს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ შეზღუდვებს:

- შემომწირველი ფიზიკური პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
- შემომწირველი იურიდიული პირი უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მისი პარტნიორები და საბოლოო ბენეფიციარები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები უნდა იყვნენ.
- შემომწირველი არ შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომლის წინა კალენდარული წლის ან საარჩევნო წლის კენჭისყრის დღემდე ფაქტობრივი შემოსავლების 15%-ზე მეტი მიღებულია მის სასარ-

გებლოდ ან მისი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს სასარგებლოდ განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებით.

- პარტიის მიერ თითოეული მოქალაქისაგან მიღებული შემოწირულობების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60 ათას ლარს, ხოლო თითოეული იურიდიული პირისაგან მიღებული შემოწირულობების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 120 ათას ლარს.

ასევე, აკრძალულია შემოწირულობის მიღება:

- სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან
- სახელმწიფო ორგანოსაგან, სახელმწიფო ორგანიზაციისაგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოებისაგან.
- არასამეწარმეო იურიდიული პირისაგან და რელიგიური ორგანიზაციისაგან.
- ანონიმური ფორმით.

2011 წლის 30 დეკემბერს ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“, საქართველოში რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის კანონიერ-

ებასა და გამჭირვალეობაზე მონიტორინგის განხორციელება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დაევალა.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ფინანსური მხარე

შემოსავლები

არჩევნების მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების მიერ ჯამში მიღებულია 742,787 ლარის საბიუჯეტო შემოსავალი (22 აგვისტო - 2 ოქტომბერი), კერძოდ:

- „ქართული ოცნება“ - 173,420 ლარი
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 135,036 ლარი
- „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“ - 78,844 ლარი
- „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ - 20,135 ლარი
- „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო“ - 16,293 ლარი

რაც შეეხება შემოწირულობებს 1 ივლისიდან 17 ოქტომბრამდე:

- „ქართული ოცნება“ - 11,640,441 ლარი
- „ევროპული საქართველო“ - 931,083 ლარი
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 108,149 ლარი
- „პატრიოტთა ალიანსი“ - 63,142 ლარი

- „ახალი საქართველო“ - 35,100 ლარი
- „დემოკრატიული მოძრაობა“ - 31,486 ლარი

საარჩევნო სუბიექტებმა შემოწირულობის სახით ამ პერიოდში ჯამურად მიიღეს 12,998,651 ლარი.

აღსანიშნავია, რომ 1 ივნისიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული შემოწირულობა 12-ჯერ აღემატებოდა ყველა კვალიფიციური სუბიექტის ჯამურ შემოწირულობებს. მთლიანი შემოწირულობის 80% 643 ფიზიკურმა პირმა გაიღო, ხოლო დანარჩენი - 32 იურიდიულმა პირმა.

ზემოთნახსენები 32 იურიდიული პირიდან 31 კომპანია „ქართული ოცნების“ შემომწირველია და მხოლოდ ერთმა იურიდიულმა პირმა გაიღო „პატრიოტთა ალიანსის“ სასარგებლოდ შემოწირულობა 90 ლარის ოდენობით.

ყველაზე მსხვილი შემომწირველი 7 კომპანია იყო - თითოეულმა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ მაქსიმალური თანხა, 120 ათასი ლარი გაიღო.[6] აღსანიშნავია, რომ შვიდიდან სამმა კომპანიამ 2016 წელს ზუსტად იგივე ოდენობის თანხები შესწირა „ქართულ ოცნებას“. ასევე საინტერესეოა, რომ კომპანიას „ტრასნპროექტი“, რომელმაც საანგარიშო პერიოდში „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ 50 ათასი ლარი გაიღო, 2011 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვისაც“ აქვს 100 ათასი ლარი შეწირული.

---

[6] ეს კომპანიებია: შპს „ჯი-ემ-პი; შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“; შპს „LION“; „თეგეტა მოტორსი“; „დეტი“; „პარტნიორი“ და „მეეკი“ http://www.transparency.ge/ge/post/politikuri-partiebis-dapinanseba-2017-clis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebistvis

ასევე აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების“ 31 შემომწირველი კომპანიიდან 2017 წელს 15-მა მიიღო გამარტივებული წესით სახელმწიფო კონტრაქტები საერთო ღირებულებით დაახლოებით 2 145 022 ლარი - ამავე კომპანიებმა საანგარიშო პერიოდში პარტიის სასარგებლოდ მთლიანობაში 1 021 793 ლარი გაიღეს. ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა „თეგეტა მოტორსის“ და „ცეკურის“ შემთხვევები: საანგარიშო პერიოდში „თეგეტა მოტორსმა“, როგორც იურიდიულმა პირმა მმართველ პარტიას 120 ათასი, ხოლო ამ კომპანიის ერთ-ერთმა მეწილემ დამატებით 60 ათასი ლარი შესწირა, სანაცვლოდ კი ამ კომპანიამ მიმდინარე წლის განმავლობაში მხოლოდ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის წესით დაახლოებით 1 500 ათასი ლარის საერთო ღირებულების 1 539 კონტრაქტი გააფორმა. რაც შეეხება კომპანია „ცეკურს“, მან „ქართული ოცნებისთვის“ 40 ათასი ლარი გაიღო და ამავე დროს 400 ათასი ლარის ღირებულების ერთი პირდაპირი სახელმწიფო შესყიდვის კონტრაქტი მიიღო.

რაც შეეხება შემომწირველ ფიზიკურ პირებს, 643 შემომწირველიდან 289 ადამიანი 818 იურიდიულ პირთან იყო სხვადასხვა სტატუსით დაკავშირებული. ამ 818 იურიდიული პირიდან 70 არის ისეთი, რომელმაც 2017 წელს გამარტივებული წესით სახელმწიფო შესყიდვების ერთი კონტრაქტი მაინც მიიღო. ამ 70 კომპანიიდან 49 „ქართული ოცნების“ შემომწირველ 55 ფიზიკურ პირთან იყო დაკავშირებული. აღნიშნულმა 55-მა ადამიანმა საანგარიშო პერი-

ოდში მმართველ პარტიას მთლიანობაში 1 661 470 ლარი შესწირა, მათმა კომპანიებმა კი დაახლოებით 2 400 ათასი ლარის ღირებულების პირდაპირი სახელმწიფო კონტრაქ-ტები მიიღეს.

„ქართული ოცნების“ 31-მა შემომწირველმა იურიდი-ულმა პირმა და 49 კომპანიამ, რომლებიც შემომწირველ ფიზიკურ პირებთან იყვნენ დაკავშირებული მთლიანობა-ში მმართველი პარტიის სასარგებლოდ 3 705 523 ლარი გა-იღო.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურ-მა საანგარიშო პერიოდში შემოწირულობის შემოწმების მიზნით 544 ფიზიკური პირის შემოსავლების შესწავლაზე გააგზავნა მოთხოვნა, საიდანაც გამოკითხვაზე 31 პირი და-იბარა, რომელთაგან 13 „ევროპული საქართველოს“, ხოლო 18 – „ქართული ოცნების“ შემომწირველია. არცერთი მათ-განი არ დაჯარიმებულა.

პარტიათა შემოსავლების შესწავლის და ამ შემოსავ-ლების შეფარდების გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვთ, რომ პოლიტიკური ველზე სიტუაცია უთანასწორო იყო და საარჩევნო კამპანია მხარეებს შორის თანაბარი კონკურენ-ციის პირობებში ვერ მიმდინარეობდა. მმართველმა პარ-ტიამ შემოწირულობების დაახლოებით 90 პროცენტი მიი-ღო. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და რიგი ად-გილობრივი დამკვირვებლის აზრით, ამ უთანასწორობის მიზეზი ოპოზიციის პოტენციურ შემომწირველებზე ზეწო-ლა და ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენე-

ბა იყო, თუმცა მმართველი პარტიის აზრით, ისინი ოპოზიციაზე უფრო კარგად იყვნენ ორგანიზებულები, უფრო ეფექტურად წარმართეს თანხების მოზიდვის პროცესი და უფრო დამაჯერებელი ხედვა ჰქონდათ.[7]

სადამკვირვებლო ორგანიზაციების თქმით, გამოქვეყნებული კვლევები პარტიათა შემოწირულობებში არსებულ დისბალანსზე და ზემოთ მოყვენილ ფაქტებზე - შემომწირველთა სტრუქტურისა და გამარტივებულ შესყიდვებში მათი მონაწილეობის შესახებ, მმართველი პარტიის და ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მკვეთრი შეფასებების მიზეზი ხდებოდა.[8]

ხარჯები

როგორც უკვე აღინიშნა, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 15 კვალიფიციური პარტია იღებდა მონაწილეობას. არჩევნების დანიშვნის დღიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით, 6-კვირიან პერიოდში,[9] საარჩევნო სუბიექტების მიერ გაწეული ხარჯებია:

---

[7] ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის განცხადება საქართველოს 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით. http://civil.ge/files/files/2017/Local%20Elections/NDI%20Election%20Day%20Preliminary%20Statement%202017_Final_Geo.pdf

[8] *2017 წლის ადგილობრივი თვითტმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს შეფასება http://www.transparency.ge/ge/post/2017-clis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebis-cinasaarchevno-garemos-shepaseba*

[9] 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდი ოფიციალურად 22 აგვისტოს დაიწყო და ორი თვის განმავლობაში გაგრძელდა http://www.isfed.ge/main/1297/geo/

ჯამურად განხორციელდა 8,835,900.00 ლარის ხარჯი, კერძოდ:

- „ქართული ოცნება“ - 6,983,756 ლარი
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 202,811 ლარი
- „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“ - 646,775 ლარი
- „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - 507,730 ლარი
- „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ - 75,892 ლარი
- „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო“ - 66,084 ლარი

რეკლამისთვის გახარჯულია 5,805,562 ლარი, კერძოდ:

- „ქართული ოცნება“ - 4,939,306 ლარი
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 345,862 ლარი
- „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“ - 396,347 ლარი
- „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - 285,250 ლარი
- „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ - 95,300 ლარი

- „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო“ - 28,747ლარი

როგორც ვხედავთ პარტიების შემოსავლების დიდი ნაწილი სარეკლამო კამპანიას მოხმარდა. ამ შეთხვევაში „ქართულ ოცნებას“ აშკარა უპირატესობა ჰქონდა და მის მიერ რეკლამისათვის გამოყოფილი თანხა საგრძნობლად აღემატებოდა სხვა პარტიების სარეკლამო თანხას ერთად აღებულს. ასეთ პირობებში ოპოზიციური პარტიებისთვის მნიშვნელოვანი იყო უფასო სარეკლამო დროის გამოყენება.[10]

---

[10] 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისათვის კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტთათვის უფასო საეთერო დრო განაწილდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად:

„საერთო ეროვნული საეთერო მაუწყებელი ვალდებულია საერთო არჩევნებისას საარჩევნო კამპანიის დროს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღიდან თავის ეთერში ყოველ 3 საათში გამოყოს არანაკლებ 7,5 წუთისა წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად და თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსოს თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დროს რამდენიმე ნაწილად დაყოს). არ შეიძლება საარჩევნო სუბიექტის გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისათვის“.

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია, რომ ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები საეთერო დროის თანაბრად განაწილების, დებატებში მონაწილეობისას ერთნაირი პირობების შექმნისა და საარჩევნო რეკლამისათვის თანაბარი პირობების დადგენის შესახებ ვრცელდება მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებით http://web1.rustavi2.ge/photos/

2014 და 2017 წლების ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედარება ფინანსური თვალსაზრისით

2014 წლის წინასაარჩევნო პერიოდის პირველი 6 კვირის მონაცემები 2017 წლის ამავე პერიოდის მონაცემებთან შედარება აჩვენებს, რომ მკვეთრადაა გაზრდილი პარტიების როგორც შემოსავლები, ასევე ხარჯები.

	2014 წ.	2017 წ.
ხარჯები	4,946,649 ლარი	8,835,900 ლარი
შემოწირულობა	3,026,704 ლარი	12,998,651 ლარი
რეკლამაზე დახარჯული თანხა	1,777,870 ლარი	5,805,562 ლარი

შემოწირულობები 2014 და 2017 წლებში

	2014 წ.	2017 წ.
“ქართული ოცნება“	2,601,108 ლარი	11,640,441 ლარი
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	12,512 ლარი	108,149 ლარი
„პატრიოტთა ალიანსი“	96,530 ლარი	63,142 ლარი

ხარჯები 2014 და 2017 წლებში

	2014 წ.	2017 წ.
„ქართული ოცნება“	2,275,191 ლარი	6,983,756 ლარი

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	1,472,927 ლარი	202,811 ლარი
„პატრიოტთა ალიანსი“	70,584 ლარი	507,730 ლარი

რეკლამაზე დახარჯული თანხა 2014 და 2017 წლებში

	2014 წ.	2017 წ.
„ქართული ოცნება“ -	1,014,964 ლარი	4,939,306 ლარი
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	539,149 ლარი	345,862 ლარი
„პატრიოტთა ალიანსი“	52,042 ლარი	285,250 ლარი

როგორც ცხრილებიდან ირკვევა, „ქართული ოცნების“ შემოსავლებიც და ხარჯებიც მკვეთრადაა გაზრდილი, მაშინ როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ ხარჯები მნიშვნელოვნადაა შემცირებული, ხოლო შემოწირულობა გაზრდილი. „პატრიოტთა ალიანსის შემთხვევაში შემოწირულობა შემცირებულია, ხოლო ხარჯები საგრძნობლადაა გაზრდილი. აღსანიშნავია ასევე, რომ სამივე პარტიამ დიდი რაოდენობის თანხა გამოყო წინასაარჩევნო რეკლამისათვის როგორც 2014, ასევე 2017 წლის არჩევნების დროს.

2017 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით პარტიებზე გადანაწილებული საბიუჯეტო დაფინანსება

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი სულ ხუთ-

მა პოლიტიკურმა პარტიამ მოიპოვა, აქედან ოთხი ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში იქნება წარმოდგენილი, ერთი კი, „ლეიბორისტული პარტიის“ სახით, მხოლოდ საბიუჯეტო დაფინანსებით შემოიფარგლება. საბიუჯეტო დაფინანასებას ხუთი საარჩევნო სუბიექტი შემდეგნაირად ინაწილებს:

- „ქართული ოცნება“ – 1,536,816 ლარი
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 956,373 ლარი
- „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო“ – 834,401 ლარი
- „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - 747,690 ლარი
- „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ – 374,502 ლარი

პოლიტიკურმა პარტიებმა დაფინანასებაზე თანხმობის მიღების დასტურად აუდიტის სამსახურს 25 ნოემბრამდე წერილობით უნდა მიმართონ, რის შემდეგაც ყოველწლიური დაფინანსების 1/12 მათ ანგარიშზე ყოველთვიურად ჩაირიცხება.

2017 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტს პოლიტიკური პარტიების დასაფინანსებლად ყოველწლიურად 4 მილიონ 400 ათას ლარზე მეტის გაღება მოუწევს.

დასკვნა

2017 წლის არჩევნებმა კვლავ დაადასტურა არსებული ტენდენცია: სახელისუფლებო პარტიის ხელში განუზომლად მეტი ფინანსური რესურსებია და ამით დიდ უპირატესობას ღებულობს არჩევნების დროს. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას მმართველმა პარტიამ მთლიანი შემოწირულობების დაახლოებით 90% მიიღო. „ქართული ოცნების“ ლიდერების თქმით, მათი ფინანსური უპირატესობა თანხების მოზიდვის კარგი უნარისა და ხედვის დამსახურებაა. მმართველი პარტიისგან განსხვავებით, ოპოზიციური პარტიები ფინანსური რესურსების სიმწირეს განიცდიდნენ და აცხადებდნენ, რომ შემომწირველები მათთან თანამშრომლობისგან თავს იკავებდნენ. ორივე მხარე აღიარებდა მმართველი პარტიის უპირატესობას და მმართველი პარტიის მხარდაჭერის შემთხვევაში შემომწირველებისთვის არსებულ სარგებელს. იმის გამო, რომ ბიზნესი ოპოზიციას ნაკლებად აფინანსებს, ოპოზიციური პარტიებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო დაფინანსება.

არაკონკურენტული გარემო არჩევნებზე აფერხებს დემოკრატიულ პროცესებს. „ქართული ოცნების“, როგორც ერთპარტიული მმართველის ჩამოყალიბება საქართველოში, პოლიტიკური პლურალიზმისთვის საფრთხის შემცველია და სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მოწესრიგდეს არჩევნებისათვის კონკურენტული გარემოს შექმნისკენ მიმართული კანონმდებლობა, რაც მოიცავს ყველა პარტიის

მხრიდან ვალდებულებას ფინანსების გამჭირვალეობის შესახებ. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მეტ-ნაკლებად თანაბარი მდგომარეობა მმართველ პარტიასთან შემოწირულობების თვალსაზრისით კი ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას, მოქალაქეთა მხრიდან თავისუფალ, შეჯიბრებითობის პრინციპზე მიღებულ გადაწყვეტილებას არჩევნების დროს და შესაბამისად ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახური, (2017) - *ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2017 წლის არჩევნების შუალედური ანგარიში.* https://monitoring.sao.ge/files/2017-clis-archevnebi/2017-clis-archevnebis-shualeduri-angarishi.pdf

2. საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო, (2017) - *პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში - 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.* https://www.scribd.com/document/362119129/%E1%83%9E%E1%83%9

3. http://www.isfed.ge/main/1297/geo/

4. http://results.cec.gov.ge/

5.https://bpn.ge/index.php?option=com_content&view=article&id=27336%3Asakhelmtsifo-biujetidan-dafinansebas-20-partia-miighebs&catid=163%3Afinansebi&Itemid=68&fullComments=

6. *როგორ გადანაწილდა პარტიებზე საბიუჯეტო დაფინანსება?* Prime Time. 30 ოქტომბერი, 2017 წ. გვ.23

7.http://www.transparency.ge/ge/post/politikuri-partiebis-dapinanseba-2017-clis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebistvis

8.http://civil.ge/files/files/2017/Local%20Elections/NDI%20Election%20Day%20Preliminary%20Statement%202017_Final_Geo.pdf

9. *ინფორმაცია 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის* http://web1.rustavi2.ge/

10. Office of Democracy and Governance, (2003). *MONEY IN POLITICS HANDBOOK: A GUIDE TO INCREASING TRANSPARENCY IN EMERGING DEMOCRACIES.* Technical Publication Series. Washington, DC http://pdf.usaid.gov/pdf_docs/pnacr223.pdf

11. International Institute for Democracy and Electoral Assistance, (2014). *Funding of Political Parties and Election Campaigns A Handbook on Political Finance* https://www.idea.int/sites/default/files/publications/funding-of-political-parties-and-election-campaigns.pdf

Funding of Political Parties during the Local Self-Government Elections of Georgia in 2017

The strength and popularity of political parties largely depends on their financial capabilities. The oppositional political parties in the countries of democratization often find it difficult to obtain adequate funding, unlike political parties in power. Such a situation weakens the competition between the parties, gives a significant advantage to ruling party and prevents democratic processes. That is why the issue of financing of parties is an important and interesting for the public in Georgia in general and specifically during the local self-government elections in 2017.

After the 2016 parliamentary elections, the number of qualified political associations in Georgia has reached twenty, from which 15 qualified parties participated in the local self-government elections in 2017; they were represented as 14 qualified subjects. In the work are presented political parties participating in the elections, the information on financing of which are available.

Keywords: Georgia; Political Parties; elections; financing of parties.